საქმე # 330100116001593945

საქართველოს უზენაესი სასამართლო განაჩენი
საქართველოს სახელით

საქმე №376აპ-19 ქ. თბილისი
გ---------- ს-------, 376აპ-19 5 მარტი, 2020 წელი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მამუკა ვასაძე (თავმჯდომარე),
შალვა თადუმაძე, მერაბ გაბინაშვილი

სხდომის მდივან – კონსტანტინე თოდრიას
პროკურორ – ანა სიგუას
ადვოკატ – ნ------- ც-–---ს
გამართლებულ – ს------- გ----------ს
თარჯიმან - ი------ ნ------ს

მონაწილეობით დახურულ სხდომაზე განიხილა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ ანა სიგუას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 27 მარტის განაჩენზე.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3^1 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ ანა

სიგუას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 27 მარტის განაჩენი გაუქმდეს;

3. ს------- გ---------- ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 7 (შვიდი) წლით თავისუფლების აღკვეთა;

4. მსჯავრდებული ს------- გ---------- დაკავებულ იქნეს სასამართლო სხდომის დარბაზში და შესახლდეს შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში;

5. მსჯავრდებულ ს------- გ----------ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყოს ამ განაჩენის გამოცხადების მომენტიდან - 2020 წლის 5 მარტიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის პერიოდი - 2016 წლის 12 სექტემბრიდან 2017 წლის 10 ივნისის ჩათვლით;

6. გაუქმდეს მსჯავრდებულ ს------- გ----------ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება - გირაო;

7. ნივთიერი მტკიცებულებები:

- ს------- გ----------ს საფულე მასში მოთავსებული საბუთებით, რომელიც ამოღებულია ა----- ი----—----სგან დათვალიერების შედეგად, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს;

- ა----- ი----—----ს ტანსაცმელი, რომელიც ამოღებულია ა----- ი----—----სგან დათვალიერების შედეგად, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაუბრუნდეს ა----- ი----—----ს;

- ა----- ი----—----ს თმის, ფრჩხილის, ნერწყვისა და ნაცხის ნიმუშები, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განადგურდეს;

- ს------- გ----------ს თმის, ნერწყვისა და ხელის კვლების ნიმუშები, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განადგურდეს;

- საგამოძიებო ექსპერიმენტისას გადაღებული ფოტოსურათები დისკზე, დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს, საქმის შენახვის ვადით;

- საგამოძიებო ექსპერიმენტისას ამოღებული ნიადაგის ნიმუში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განადგურდეს;

- შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი გარე სათვალთვალო კამერის ჩანაწერები DVD დისკზე დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს, საქმის შენახვის ვადით;

- სს „კ-------დან“ გამოთხოვილი გარე სათვალთვალო კამერის ჩანაწერები DVD დისკზე დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს, საქმის შენახვის ვადით;

- ა----- ი----------სგან დათვალიერების შედეგად ამოღებული „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს;

- ს------- გ----------ს „აიფონის“ ფირმის მობილური ტელეფონი, რომელიც ამოღებულია თ-------- გ----------სგან დათვალიერების შედეგად, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაუბრუნდეს ს------- გ----------ს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს;

- შპს „X--------დან“ გამოთხოვილი ინფორმაცია - 558 519326 სატელეფონო ნომერზე განხორციელებული შემავალი და გამავალი ზარების ამსახველი მონაცემების CD დისკი, დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს, საქმის შენახვის ვადით;

- 2016 წლის 1 ნოემბერს მობილური ტელეფონის დათვალიერებისას ექსპერტების მიერ გადაღებული ფოტოსურათები, ჩაწერილი CD დისკზე, დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს, საქმის შენახვის ვადით;

8. მიღებული განაჩენი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნდეს ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3[1] ნაწილის მოთხოვნათა დაცვით.

9. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე მ. ვასაძე

მოსამართლეები: შ. თადუმაძე

მ. გაბინაშვილი